

შპს „სინერჯი აპეას საერთო საწარმო“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს “სინერჯი აპეას საერთო საწარმო”

ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5
1 ზოგადი ინფორმაცია.....	5
2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	5
3 ძირითადი საშუალებები	9
4 ფული და ფულის ექვივალენტები	10
5 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	10
6 საგადასახადო აქტივები/ვალდებულება	10
7 გადახდილი დივიდენდი	11
8 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11
9 სამშენებლო კონტრაქტების ღირებულება	11
10 მოგების გადასახადი	12
11 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან.....	12
12 მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ	12

შპს “ სინერჯი აპეას საერთო საწარმო“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	7,862	34,719
სულ გრძელვადიანი აქტივები		7,862	34,719
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	4	827,309	2,391,696
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	28,495	228,274
მარაგები			0
საგადასახადო აქტივები	6	0	0
სულ მოკლევადიანი აქტივები		855,804	2,619,969
მთლიანი აქტივები		863,665	2,654,688
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		423,073	480,827
მთლიანი კაპიტალი		423,073	480,827
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები			0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გადასახდელი დივიდენდი		0	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	440,592	2,173,861
მთლიანი ვალდებულებები		440,592	2,173,861
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		863,665	2,654,688

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2023 წლის 02 ოქტომბერს

ფინანსური დირექტორი
 მანანა საღარაძე

დირექტორი
 ჰაჯი მურათ ბედიო
 აპმეტ თოლრა გულლერ

შპს “ სინერჯი აპეას საერთო საწარმო“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან		1,367,188	5,222,054
სამშენებლო კონტრაქტების ღირებულება	9	(752,297)	(3,859,774)
საერთო მოგება / (ზარალი)		614,891	1,362,280
სხვა შემოსავალი			
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		-	-
არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		(25,646)	(54,515)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსავალი/(ზარალი)		94,914	(96,021)
მოგება დაბეგვრამდე		684,158	1,211,744
მოგების გადასახადის ხარჯი	10	(55,643)	(270,682)
წმინდა მოგება		628,515	941,063
სხვა სრული შემოსავალი/ (ხარჯი)		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		628,515	941,063

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2023 წლის 02 ოქტომბერს.

ფინანსური დირექტორი

მანანა საღარაძე

დირექტორი

ჰაჯი მურათ ბედირ

აჰმეტ თოღრა გულლერ

შპს “ სინერჯი აპეას საერთო საწარმო“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ (დაგროვილი ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს		-	2,878,172	2,878,172
წლის მოგება / (ზარალი)			941,063	941,063
სხვა სრული შემოსავალი			(3,338,408)	(3,338,408)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი				-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს		-	480,827	480,827
წლის მოგება / (ზარალი)			628,515	628,515
გამოცხადებული დივიდენდი	7		(686,269)	(686,269)
სხვა სრული შემოსავალი				-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი				-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს		-	423,073	423,073

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2023 წლის 02 ოქტომბერს

ფინანსური დირექტორი

მანანა საღარაძე

დირექტორი

ჰაჯი მურათ ბედიო

აჰმეტ თოღრა გულლერ

შპს „სინერჯი აპეას საერთო საწარმო“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „სინერჯი აპეას საერთო საწარმო“, საიდენტიფიკაციო ნომერი 405311719 ("კომპანია") წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2019 წლის 18 იანვარს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, მარშალ გელოვანის გამზ., N13, სართული 6

წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 50%-იანი წილის მფლობელია სააქციო საზოგადოება აპეას მუჰენდისლიქ ინშაათ თააჰჰუთ ვე დიშ თიჯარეთ ა.შ. და 50% შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სინერჯი ინთერნემენალ ქონსტრაქშინ, 2022 წლის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა - 8

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში "მსს ფასს"), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მსს ფასს-თან. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა (იქნება) გამოყენებული ყველა პერიოდის მიმართ, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან მსჯელობას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. საკითხები, რომლებშიც ასახულია ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები და რომლებიც საჭიროებენ მაღალი დონის მსჯელობას და კომპლექსურ მიდგომებს, ამავე (მე-2) განმარტებით შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად

შპს “ სინერჯი აპეას საერთო საწარმო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

მომავალში. მენეჯმენტისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში, რომლის გადაფასება ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/დანაკარგის ნაწილში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული „სებ“ გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს	2.7020	2.8844
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს	3.0976	3.5040

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა:

	წელი
კონტეინერი	7
სამშენებლო ხარაჩო	5
სამშენებლო ხელსაწყოები	3
ავეჯი და ინვენტარი	3

იჯარით აღებული ქონების ცვეთა- მომსახურების პერიოდის პროპორციულად

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიაჩნიათ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

შპს “ სინერჯი აპეას საერთო საწარმო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ხარჯში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება რეზიდენტ ბანკებში არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ექვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

კომპანიის მფლობელობაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები ძირითადად შედგება მშენებლობაში გამოსაყენებელ სამშენებლო მასალებისგან.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენაზე გაწეულ დანახარჯებს, გადამუშავების დანახარჯებს და ამჟამინდელ მდგომარეობამდე სასაქონლო-მატერიალური მარაგების მისაყვანად გაწეულ ხარჯებს. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოვლენის მიზნით, ყოველწლიურად ხდება არალიკვიდური მარაგების იდენტიფიკაცია, მოძველებული ერთეულების არსებობის შემთხვევაში, ჩამოიწერება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

შპს “ სინერჯი აპეას საერთო საწარმო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმომდგარ ფულად ნაკადებზე იჭურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

საგადასახადო ვალდებულებები/აქტივები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის საგადასახადო სახელის გახსნისთანავე. შედეგად 2022 წლის 31 დეკემბრის, მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოღინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი ან გაუწია მომსახურება და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა, კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

შპს “ სინერჯი აპეას საერთო საწარმო“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

3 ძირითადი საშუალებები

	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	კონტეინერი	ხარაჩოები და სამშენებლო ხელსაწყოები	ავიჯი და ინვენტარი	სულ
ისტორიული ღირებულება					
2021 წლის 1 იანვარი	12,512	37,765	14,661	28,459	93,396
შეძენა	0	0	3,220	0	3,220
გაყიდვა	(12,512)	(18,044)	-	-	(30,556)
2021 წლის 31 დეკემბერი	0	19,721	17,881	28,459	66,060
შეძენა	0	0	0	0	0
გაყიდვა	-	(19,721)	(7,605)	-	(27,325)
რეკლასიფიკაცია					
2022 წლის 31 დეკემბერი	0	0	10,276	28,459	38,735
დაგროვილი ცვეთა					
2021 წლის 1 იანვარი	0	7,656	3,221	8,889	19,766
ცვეთის ხარჯი	0	2,816	2,932	9,485	15,233
გაყიდული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	(3,658)	-	-	(3,658)
2021 წლის 31 დეკემბერი	0	6,814	6,153	18,374	31,342
ცვეთის ხარჯი	0	2,577	3,178	8,371	14,125
გაყიდული ძირითადი საშუალებების ცვეთა	0	(9,391)	(5,203)	0	(14,594)
2022 წლის 31 დეკემბერი	0	0	4,128	26,745	30,873
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2021 წლის 1 იანვარი	12,512	30,109	11,440	19,569	73,630
2021 წლის 31 დეკემბერი	0	12,907	11,728	10,084	34,719
2022 წლის 31 დეკემბერი	0	0	6,148	1,713	7,862

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს 18,900 ლარის ღირებულების სრულად ამორტიზირებულ ძირითად საშუალებებს.

შპს “ სინერჯი აპეას საერთო საწარმო“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

4 ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ქართულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული თანხებისგან და სალაროში არსებული თანხებისაგან.

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფული საბანკო ანგარიშებზე	827,309	2,391,696
ნაღდი ფული სალაროში	0	0
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	827,309	2,391,696

5 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	28,495	6,774
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	0	0
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	0	221,499
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	28,495	228,274

6 საგადასახადო აქტივები/ვალდებულება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს 7,500 ლარის ოდენობის ზედმეტობა საგადასახადო ბარათზე

შპს “სინერჯი აპეას საერთო საწარმო“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)
7 გადახდილი დივიდენდი

2022 წელს გაიცა 2022 საანგარიშგებო პერიოდებში გამოცხადებული დივიდენდი 686 ათასი ლარის ოდენობით.

8 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	45,297	289,177
მიღებული ავანსები	0	1,302,110
ვალდებულება თანამშრომელთა ხელფასებზე	0	3,791
საგადასახდო ვალდებულება	321,246	248,183
სამშენებლო კონტრაქტის ვალდებულება	0	29,250
ქვეკონტრაქტორების საგარანტიო ვალდებულებები	74,050	301,351
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	440,592	2,173,861

9 სამშენებლო კონტრაქტების ღირებულება

	2022	2021
ნედლეულის დანახარჯები	80,436	1,675,195
ქვეკონტრაქტორები	228,820	773,532
სახელფასო ხარჯი	344,500	1,075,004
საწვავისა და ტრანსპორტირების ხარჯი	-	11,300
ცვეთა	14,125	15,233
კომუნალური და ოფისის ხარჯი	4,643	20,847
მიღებული ჯარიმები ქვეკონტრაქტორებისგან	-	-
ფინანსური ხარჯი	1,056	8,764
სხვა ხარჯები	78,717	279,898
სულ სამშენებლო კონტრაქტების ღირებულება	752,297	3,859,774

შპს “ სინერჯი აპეას საერთო საწარმო“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

10 მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

2022 წლის განმავლობაში კომპანიის მოგების გადასახადის ხარჯმა შეადგინა 55,643 ლარი

11 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება 2022 წლის განმავლობაში შეადგენდა 41,280 ლარს .

ურთიერთ დაკავშირებული მხარის ტიპი -საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანია

2022 წლის განმავლობაში დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებულმა ბრუნვა შეადგინა 49,340 ლარი დღგ-ს გარეშე.(საიჯარო ქირა, მომსახურების საფასური)

12 მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 02 ოქტომბერს

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს

შპს “სინერჯი აპეას საერთო საწარმო“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	7,862	34,719
სულ გრძელვადიანი აქტივები		7,862	34,719
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	4	827,309	2,391,696
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	28,495	228,274
მარაგები			0
საგადასახადო აქტივები	6	0	0
სულ მოკლევადიანი აქტივები		855,804	2,619,969
მთლიანი აქტივები		863,665	2,654,688
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		423,073	480,827
მთლიანი კაპიტალი		423,073	480,827
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები			0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გადასახდელი დივიდენდი		0	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	440,592	2,173,861
მთლიანი ვალდებულებები		440,592	2,173,861
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		863,665	2,654,688

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2023 წლის 02 ოქტომბერს

ფინანსური დირექტორი
 მანანა საღარაძე

დირექტორი
 ჰაჯი მურათ ბედიო
 აკმეტ თოღრა გულლერ

შპს “სინერჯი აპეას საერთო საწარმო“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან		1,367,188	5,222,054
სამშენებლო კონტრაქტების ღირებულება	9	(752,297)	(3,859,774)
საერთო მოგება / (ზარალი)		614,891	1,362,280
სხვა შემოსავალი			
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		-	-
არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		(25,646)	(54,515)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსავალი/(ზარალი)		94,914	(96,021)
მოგება დაბეგვრამდე		684,158	1,211,744
მოგების გადასახადის ხარჯი	10	(55,643)	(270,682)
წმინდა მოგება		628,515	941,063
სხვა სრული შემოსავალი/ (ხარჯი)		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		628,515	941,063

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2023 წლის 02 ოქტომბერს.

ფინანსური დირექტორი

მანანა საღარაძე

დირექტორი

ჰაჯი მურათ ბედირ

აჰმეტ თოღრა გულლერ

შპს “სინერჯი აპეას საერთო საწარმო“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ (დაგროვილი ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს		-	2,878,172	2,878,172
წლის მოგება / (ზარალი)			941,063	941,063
სხვა სრული შემოსავალი			(3,338,408)	(3,338,408)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი				-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს		-	480,827	480,827
წლის მოგება / (ზარალი)			628,515	628,515
გამოცხადებული დივიდენდი	7		(686,269)	(686,269)
სხვა სრული შემოსავალი				-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი				-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს		-	423,073	423,073

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2023 წლის 02 ოქტომბერს

ფინანსური დირექტორი

მანანა საღარაძე

დირექტორი

ჰაჯი მურათ ბედიო

აჰმეტ თოღრა გულლერ